საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №96
2018 წლის 31 აგვისტო

ქ. თბილისი

„სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის საგამოცდო ტესტების (ბილეთები) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 21 ოქტომბრის №814 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტებისა და ,,ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივლისის №1457 განკარგულების მე-2 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის საგამოცდო ტესტების (ბილეთები) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 21 ოქტომბრის №814 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 23/10/2014, 120020040.22.034.016373) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტის:

1. „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღებ თეორიული გამოცდის საგამოცდო ტესტებს (ბილეთებს) (დანართი №1) დაემატოს №1742-№1792 ეკო-მართვის საგამოცდო ტესტები (ბილეთები), ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად.

2. „ბ“ - „თ“ ქვეპუნქტებით და „კ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის საგამოცდო ტესტებისა (ბილეთები) და მათი სწორი პასუხების ცხრილებს (დანართი №2 - დანართი №8 და დანართი №10) დაემატოს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდის ეკომართვის საგამოცდო ტესტებისა (ბილეთები) და მათი სწორი პასუხების ცხრილი, ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 30 სექტემბრიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი — **გიორგი გახარია**